საბჭოთა სამხრეთ ოსეთი 60 წლისაა

გაუმარჯოს, ოსეთო ჩვენო!

პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 წელი სამშაბათი 12 მაისი № 109 (18051) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საიუბილეო შრომის ვახტზე

60

თბილისი. („კომ.“ კორ.). საბავშვო ტრიკოტაჟის ფაბრიკის კოლექტივი ფართოდ ჩაება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მესამოცე წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მან დამატებით ვალდებულება იკისრა 28 მაისისათვის ზეგეგმით 200 ათასი მანეთის პროდუქცია მიაწოდოს მომხმარებელს.

საწარმოს წარმატებებზე ისიც კარგად მეტყველებს, რომ მან ოთხი თვის გეგმა უყველა მაჩვენებლის მიხედვით შეასრულა და გეგმას 364 ათასი მანეთით გადააჭარბა, ხოლო ამ დღეებში აქაურ სამ ნაწარმს — ბავშვის კოსტიუმს, გოგონას კაბასა და სარაფანს მიენიჭა პრესტიჟული მარკა „გაკეთებულია თბილისში, საუკეთესოა“. გამომჭრელს, საქალაქო საბჭოს დეპუტატს გულო დორეულს სურვილი აქვს საქართველოს მე-60 წლისთავს ხელდამშვენებული შეხვდეს. მან გადაწყვიტა დაზოგილი ნედლეულით იშრომოს. მისი ვალდებულება ასეთია „ერთ ხუთწლედში ორი ხუთწლედი“. იგი პირნათლად იბრძვის მისი შესრულებისათვის.

საიუბილეო შრომის ვახტზე

ცხინვალი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ცხინვალის მექანიკური ქარხნის კოლექტივი გაორკეცებული ენერგიით შრომობს. დიდი გადაჭარბებით შესრულდა ოთხი თვის დავალება, მომხმარებელს გეგმის გადამეტებით 35 ათასი მანეთის პროდუქცია გაეგზავნა. 5 თვის დავალების შესრულებას ცხინვალელები სამშობლოს საიუბილეო საზეიმო დღეებში უპატაკებენ.

ახალციხე. („კომუნისტის“ საკ. კორ.). აქატ-დიატომიტის მაღაროთასამმართველოს კოლექტივმა პროდუქციის გამოშვების ოთხი თვის დავალება გადაჭარბებით შეასრულა და ახლა წარმატებით იბრძვის საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის.

საიუბილეო შრომის ვახტზე დაწინაურდნენ დიატომიტის შახტის საკარიერო მეურნეობის მექანიზატორები: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თ. მაჩაიძე, რ. მაღლაკელიძე, ვ. შერგელაშვილი, ზ. მანჩხაშვილი, ვ. ტაბატაძე, რ. ლომიძე, რომლებმაც ოთხ თვეში გეგმის გადამეტებით 1200 ტონაზე მეტი დიატომიტი ამოიღეს და უმატეს შრომის ტემპს.

ახლა ისინი გეგმით გათვალისწინებული 250 ტონის ნაცვლად მომხმარებელს ყოველდღიურად 270 ტონამდე დიატომიტს აწვდიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალციხელი სამთოელები საბჭოთა საქართველოს საიუბილეო დღეებისათვის ვადამდე შეასრულებენ ხუთი თვის დავალებას, წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით კიდევ ამოიღებენ 500 ტონამდე დიატომიტს.

ძმობითა ვართ ძლიერი

60

ამაო, ძმითა ხარ ძლიერო. ეს ქართველთა და ოსთა ძმობაზე ითქმის. ეს ორი ხალხი ისტორიულად ერთად ებრძოდა მომხვდურ მტერს. საუკუნო მეგობრობა მერე რევოლუციის ქარცეცხლში გამოიწრთო და დიდი ლენინის საქმის გამარჯვებაში დაიდო წილი.

დღეს ამ ძმობით ნაშენი დიადი ქვეყნის თვალმარგალიტის — საბჭოთა საქართველოს ახლებური ცხოვრების დიდი ზეიმია. და ამ ზეიმზე ერთ-ერთი პირველი სიტყვა ძმათა შორის ოსს ეთქმის. ეს სიტყვა არის დიდი სამამდლოების საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობისადმი, ქართველი ხალხისადმი, დიდი რუსი ხალხისადმი. გაპხეულ დღეს აღორძინებულ, აყვავებულ, აშენებულ მხარეს ოსეთისას და გული სიამით ივსება. ეს არის უფროს ძმათა უმცროსზე ზრუნვის შედეგი.

სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე საქართველოს მთავრობა მზრუნველობით მოეკიდა სამხრეთ ოსეთს. 1922 წელს სამხრეთ ოსეთს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დეკრეტით ავტონომია მიენიჭა. გამოიყო საკმაო თანხა ამ ჩამორჩენილი მხარის ასაღორძინებლად. ოსი კაცი ხალისით შეუდგა მენშევიკთა თარეშით გაპარტახებული მხარის აღდგენას და დღეს უკვე თვალნათელია ამ შრომის მადლიანი შედეგი — საბჭოური ცხოვრების 60 წელი სამხრეთ ოსეთში რამდენიმე საუუნეს უტოლდება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სამხრეთ ოსეთში არ არსებობდა ცოტად თუ ბევრად განვითარებული მრეწველობა, ძალზე გაჭირვებული იყო გლეხობა, საშუალოდ ერთ მოსახლეზე მოდიოდა 2,4 დესეტინა მიწა, მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი უნიგნური იყო.

უკვე ომამდელი ხუთწლედების მანძილზე ძირეული ცვლილებები მოხდა ოლქის საწარმოო ძალების განვითარებაში. შეიქმნა სოციალისტური მრეწველობა. სოფლად ლენინური კოოპერატიული გეგმის განხორციელების შედეგად განმტკიცდა კოლმეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაფართოვდა სახნავ-სათესი ფართობები, გაიზრდა პირუტყვის სულადობა, ხეხილის ბაღებისა და ვენახების ფართობები.

ოლქის პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1973 წლის 5 სექტემბერს გამართულ პარტიული აქტივის კრებას, რომელზეც ამხანაგი ე. შევარდნაძე გამოვიდა.

საჭირო იყო აგვემაღლებინა ხელმძღვანელობის დონე, პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკების პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის, განგვემტკიცებინა პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა.

განსაკუთრებით დიდი მუშაობა დასჭირდა სოფლის მეურნეობაში არსებული ჩამორჩენის დაძლევას. განმტკიცდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაფართოვდა სამელიორაციო სამუშაოთა მოცულობა, მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ბაზა. 1974 წლისათვის უკვე დაძლეული იყო მრეწველობის განვითარებაში ხუთწლედის წინა წლების ჩამორჩენა, სამრეწველო პროდუქციის საშუალო სადღეღამისო წარმოება 12 პროცენტით გაიზარდა, სამუშაო დროის დანაკარგები 22 პროცენტით შემცირდა, ამან საშუალება მოგვცა მნიშვნელოვნად აგვემაღლებინა ოლქის ეკონომიკური პოტენციალი. 1975 წლისათვის სამრეწველო პროდუქციის ზრდის ტემპი 1965 წლის ტემპის 285 პროცენტს შეადგენდა. სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდის 58,9 პროცენტი შრომის ნაყოფიერების ამაღლების წილად მოდიოდა. მეცხრე ხუთწლედში კაპიტალდაბანდებათა მოცულობა უფრო მეტი იყო, ვიდრე მეექვსე, მეშვიდე, მერვე ხუთწლედებში ერთად.

მეათე ხუთწლედში ჩვენს მუშაობას საფუძვლად დაედო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილებები სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ. შემუშავდა ღონისძიებანი ამ დადგენილების შესასრულებლად.

ოლქის სამრეწველო პროდუქციის გამოშვება მეათე ხუთწლედში მეცხრე ხუთწლედთან შედარებით გაიზარდა 109 მილიონი მანეთით, ანუ 45 პროცენტით, ამაღლდა სამრეწველო პოტენციალის ზრდის ტემპები. ეს წარმატებები მოპოვებულია მუშათა კოლექტივების თავდადებული შრომით, სოციალისტური შეჯიბრების მაღალ დონეზე მოწყობით და სხვ. ამჟამად მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში 33 ათასი კაცია ჩაბმული. 3 ათასზე მეტ კაცს უკვე მინიჭებული აქვს კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო წოდება.

ამ საიუბილეო სამზადისში სამხრეთ ოსეთის მრეწველობისა და სოფლის მუშაკებმა თვალსაჩინო შრომითი გამარჯვებები მოიპოვეს. მწყობრში ჩადგა ცხინვალის უძველესი საწარმოს — ხეტყის კომბინატის ავეჯის საწარმო, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე დიდმწარმოებლური დანადგარებით. ეს ავეჯის მწარმოებლებს საშუალებას აძლევს ერთიორად გაზარდონ ავეჯის გამოშვება და ხარისხი. მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ დღეებში კვაისის მაღაროთასამმართველოს განახლებულმა მამდიდრებელმა ფაბრიკამ პირველი ათობით ტონა ტყვია-თუთიის კონცენტრატები მისცა სამშობლოს.

მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა ზონკარის დიდი წყალსაცავი მდინარე პატარა ლიახვზე. ახლა მიმდინარეობს წყლის დაგუბება, რაც გააცოცხლებს ოლქისა და ქართლის რაიონების ათასობით ჰექტარ მიწას.

ამ დღეებში ცხინვალში ამუშავდება ტრიკოტაჟის საცვლების ფაბრიკა, რომელიც წლიურად 10 მილიონ მანეთამდე პროდუქციას გამოუშვებს, თითქმის იმის 20 პროცენტს, რასაც ოლქის მრეწველობა მეცხრე ხუთწლედის ბოლოსათვის იძლეოდა მთლიანად.

ასე რომ, ბოლო წლებში დიდი, მძლავრი ნაბიჯები გადაიდგა ოლქის მრეწველობის აღმავლობისათვის. საამაყოა, რომ ახლა სამხრეთ ოსეთის ეკონომიკური პოტენციალი 1922 წელთან შედარებით 100-ჯერ და მეტად გაიზარდა.

ოლქის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს საპატიო ამოცანად მიაჩნიათ „საპიტალური მშენებლობის განვითარება სოფლად. მეათე ხუთწლედში აშენდა მსხვილი კომპლექსები მეცხოველეობისათვის ცხინვალის, ზნაურისა და ლენინგორის რაიონებში.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოება. უპირველესი ქების სიტყვა ეკუთვნით ლენინგორელ მეცხვარეებს, რომელთან თავდადებული შრომის შედეგად მატყლის წარმოების გეგმა შარშან 139 პროცენტით შესრულდა. საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავის იუბილეს ლენინგორელმა მეცხვარეებმა ახალი შრომითი ნობათები მიუძღვნეს. მიღებულია 42.500 ბატკანი, ანუ ყოველ 100 ნერგზე 100 ბატკანი. ამჟამად მათს ფარეში 40 ათასით მეტი ცხვარი ჰყავთ, ვიდრე გეგმა ითვალისწინებს.

დიდი შრომისა და ზრუნვის შედეგი კმაყოფილებით აღავსებს ოს კაცს. გასულ ხუთწლედში მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი რესპუბლიკაში 22 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეებისა 50 პროცენტით, სამხრეთ ოსეთში კი ამავე პერიოდში ყველა კატეგორიის მუშათა ხელფასი 15 მილიონი მანეთით ანუ 35 პროცენტით გაიზარდა.

ოსი ხალხის სულიერ და მატერიალურ ზრდაზე ზრუნვის კიდევ ერთი დიდი დასტურია კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ, რომელიც შარშან გამოსცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა. ეს არის ერთა თანასწორობის, უფლებამოსილების დიდი დოკუმენტი. იგი კმაყოფილებითა და მომავლის დიდი რწმენით აღავსებს ოს მშრომელს.

წინ ახალი პორიზონტებია გადაშლილი. ახალი ხუთწლედი ახალი გამარჯვებების მომტანი იქნება. ამის თავდებია შრომის ის დიდი ესტაფეტა, რომელიც მეათე ხუთწლედისაგან მიიღო მეთერთმეტემ. ეს იქნება ახალი აღმშენებლობის ხუთწლედი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით მნიშვნელოვნად მეტი კაპიტალდაბანდების ათვისება მოგვიწევს, ვიდრე მეათე ხუთწლედში. მარტო ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხნის პირველი რიგის მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება დაახლოებით 18 მილიონ მანეთის შეადგენს, აშენდება „ბაღიათის“ მინერალური წყლის ჩამომსხმელი ახალი ქარხანა ქ. ცხინვალში 40 კილომეტრი სიგრძის მინერალური წყალსადენით, რომლის სიმძლავრე წელინადში 120-150 მილიონი ბოთლი იქნება.

ამ დღეებში საძირკველი ჩაეყარა სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის ახალი კორპუსის მშენებლობას, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 3 მილიონ მანეთზე მეტია. ახალ ხუთწლედში დიდძალი თანხების ათვისება მოგვიწევს ცხინვალისათვის ედისში წყალსადენის მშენებლობაზე, სწმენდი ნაგებობების აშენებაზე, მინიმალური გაანგარიშებით ამ მიზნით გათვალისწინებულ კაპიტალდაბანდებათა საერთო თანხა სულ ცოტა 135 მილიონ მანეთს შეადგენს.

როგორც ვხედავთ, დიდი აღმშენებლობის პროგრამის წინაშე ვდგავართ. უფრო რთულია მეთერთმეტე ხუთწლედის აგრარული პროგრამა. საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ უპირველეს ამოცანად კვლავ დასახა მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით, ხორცითა და რძით უფრო სწრაფად დაკმაყოფილების პრობლემა.

რეზერვები უამრავია, მათი გამოვლენა და მწყობრში ჩაყენება პარტიული ორგანიზაციების უპირველესი ვალია.

წინ ახალი პორიზონტებია. მომავალს იმედით შევეგებით და გვჯერა ჩვენი ხალხების საუკუნეებგამოვლილი მეგობრობა სვეტედნიერი მერმისის საწინდარი იქნება.

ფ. სანაკოევი,
საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტს, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომს

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მხურვალედ მოგესალმებათ და გილოცავთ ოლქის ყველა კომუნისტს, მუშას, კოლმეურნეს, ინტელიგენტს, თითოეულ მშრომელს სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავს. ეს დიდი ზეიმი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის სახელოვანი მე-60 წლისთავის იუბილეს განუყოფელი ნაწილია.

დიდი ოქტომბრის დროშით ექვსი ათეული წლის მანძილზე ავტონომიური ოლქის მშრომელებმა გმირული შრომისა და ბრძოლის სახელოვანი გზა განვლეს — მამაცურად იცავდნენ რევოლუციის მონაპოვრებს სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, თავდადებით შრომობდნენ სახალხო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ამოცანათა წარმატებით განხორციელებისათვის; საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი ჩამორჩენილი, სუსტად განვითარებული სოფლის მეურნეობის კუთხიდან სამხრეთ ოსეთი საბჭოთა ხელისუფლების წლებში გადაიქცა თანამედროვე მრეწველობის დიდად განვითარებული სამთო მეტალურგიის, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის ოლქად, თვალსაჩინო მიღწევები მოიპოვა მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. სწრაფი ტემპით უმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა.

სოციალისტურ მშენებლობაში ავტონომიური ოლქის ასეთი ისტორიული წინსვლა ნათლად მოწმობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას. ეს მიღწევები მშიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მოძმე ერების, უპირველეს ყოვლისა, დიდი რუსი ხალხის ძმურ მხარდაჭერასა და უანგარო დახმარებასთან.

ავტონომიური ოლქის სოციალურ-ეკონომიკურ კულტურულ განვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა ბოლო ხუთწლედის მანძილზე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების ხორცშესხმისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის პრინციპული ბრძოლის ვითარებაში, რომელმაც აქტიური და საქმიანი მხარდაჭერა პოვა სამხრეთ ოსეთის მშრომელთა შორის.

ოლქის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ტემპის დაჩქარების ახალ მნიშვნელოვან ეტაპად იქცა მეათე ხუთწლედი, რომლის ამოცანათა გადაწყვეტისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვნად ამაღლდა მასების პერსონალური პასუხისმგებლობა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, სოციალისტური ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და განვითარებისათვის.

ჩვენ დღეს უდიდესი კმაყოფილებით აღვნიშნავთ იმ თვალსაჩინო წვლილს, რომელიც ავტონომიური ოლქის მშრომელებმა შეიტანეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ისტორიაში პირველი წითელდროშოვანი ხუთწლედის ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტაში.

ყოველივე ეს საბჭოთა საქართველოს, მისი ავტონომიური ფორმირებებისადმი სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის განუზრელი ზრუნვის შედეგია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ახალ წარმატებებს, ახალ გამარჯვებებს უსურვებენ ოლქის მშრომელებს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აყვავებაში და გამოთქვამენ ღრმა რწმენას, რომ სამხრეთ ოსეთის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები მთელ ძალ-ღონეს მოახმარენ მასების დარაზმვას მეათე ხუთწლედის დავალებათა, სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ წინასწარმასახულობათა, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის.

გაუმარჯოს საბჭოთა სამხრეთ ოსეთს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „წიწიბურას, ფეტვის, ლობიოსა და ოსპის მარცვლის წარმოებისა და შესყიდვის სტიმულირების დამატებითი ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მთელი რიგი რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების საპარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელმა ორგანოებმა, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სსრ კავშირის დამზადების სამინისტრომ ვერ უზრუნველყვეს „წიწიბურასა და ფეტვის მარცვლის წარმოების და შესყიდვის გადიდების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 23 აგვისტოს № 683 დადგენილების შესრულება. კვლავინდებურად მცირეა ამ კულტურების მოსავლიანობა. წიწიბურაისა და ფეტვის მარცვლის შესყიდვის მეათე ხუთწლედის გეგმა მთლიანად ქვეყანაში არ შესრულებულა.

ქვეყანაში ცოტა მზადდება და გადაეცემა სახელმწიფო რესურსებს ლობიოსა და ფეტვის მარცვალი.

სსრ კავშირის დამზადების სამინისტრო, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მთელი რიგი ოლქებისა და რესპუბლიკების. პარტიული და საბჭოთა ორგანოები ჯეროვანი მომთხოვნელობით არ ეკიდებიან მეურნეობებს აღნიშნული ბურღულეული და პარკოსანი კულტურების მარცლის სახელმწიფოსთვის მიყიდვის გეგმების შესრულების უზრუნველყოფის საქმეში. ბურის მიმღებ საწარმოებში ჩაბარებული დიდძალი წიწიბურასა და ფეტვის მარცვალი დაბალი ხარისხისაა.

ამის შედეგად ვერ კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნილება წიწიბურაზე, ფეტვის ბურღულზე, ლობიოსა და ფეტვზე.

იმ მიზნით, რომ გაიზარდოს ამ კულტურების მარცლის წარმოება და შესყიდვა, გაუმჯობესდეს მისი ხარისხი და უფრო სრულად კმაყოფილდებოდეს მოსახლეობის მოთხოვნილება ბურღულეულზე, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ რუსეთის სფსრ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს, პარტიის საბჭოეო, საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო, საოლქო და რაიონულ აღმასკომებს დაავალა:

განიხილონ თითოეული რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, რაიონის, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიხედვით წიწიბურას, ფეტვის, ლობიოსა და ოსპის მარცვლის წარმოების ჩამორჩენის მიზეზები. შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ხელს შეუწყობს ამ კულტურების მოსავლიანობისა და მარცვლის მოლიანი მოსავლის შემდგომ გადიდებას, სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმების შესრულებას, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ აღნიშნული კულტურების თესვა-მოყვანის პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვას;

უზრუნველყონ, რომ 1981 წელს მეურნეობებში საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში მოეწყოს წიწიბურას, ფეტვისა და პარკოსანი კულტურების თესვა-მოყვანის ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, რათა წელსვე მივაღწიოთ ამ კულტურების მარცლის წარმოების მნიშვნელოვან ზრდას, ხარისხის გაუმჯობესებას და სახელმწიფოსათვის მისი მიყიდვის დაწესებული გეგმების. უცილობელ შესრულებას თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში.

გააძლიერონ კონტროლი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ წიწიბურას, ფეტვის, ლობიოსა და ოსპის მარცვლის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმების შესრულებისადმი, მიიღონ ზომები, რათა ამაღლდეს ბურღულეული და პარკოსანი კულტურების ყველაზე ძვირფასი ჯიშების მარცვლის ხვედრითი წილი სახელმწიფოს მიერ შესყიდული ამ კულტურების მარცვლის საერთო მოცულობაში.

წიწიბურას, ლობიოსა და ოსპის მარცვლის წარმოებისა და შესყიდვის სტიმულირების მიზნით შემოღებულია, 1981 წლის მოსავლით დაწყებული, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციებისათვის კომბინირებული საკვების ან საფურაჟე მარცვლის შემხვედრი მიყიდვა სახელმწიფოსათვის მიყიდული აღნიშნული კულტურების ერთ ცენტნერ მარცვლში ერთი ცენტნერი კომბინირებული საკვების ან საფურაჟე მარცვლეულის ანგარიშით.

გათვალისწინებულია მიეცეთ 1981-1985 წლებში კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციებს საერთო შესყიდვის ფასების 50 პროცენტის ოდენობით, თუ სახელმწიფოს მეათე ხუთწლედში მიღწეული საშუალო დონის გადაჭარბებით მიჰყიდიან წიწიბურას, ფეტვის, ლობიოსა და ოსპის მარცვალს, მიუხედავად იმისა, როგორ გადაამეტებენ ამ დონეს მთლიანად მარცვლეულის მიხედვით.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციებისათვის 1981 წლის მოსავლით დაწყებული, დაწესებულია თეთრი, ფერადი ლობიოს, ფერის მიხედვით ნარეკი ლობიოს, მაშალობიოსა და მსხვილფესლა ოსპის მარცვლის შესყიდვის ფასები ტონა საბაზისო კონდიციის მარცვალში 600 მანეთის ოდენობით.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას მარცვლეულის შესყიდვის სახელმწიფო გეგმები შესრულებულად ჩაეთვალოს მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკას, მხარეს, ოლქს, რაიონსა და მეურნეობას მხოლოდ იმ პირობით, თუ შესრულებული აქვთ წიწიბურასა და ფეტვის მარცვლის სახელმწიფო შესყიდვის გეგმა და მეურნეობები მთლიანად არიან უზრუნველყოფილი ამ კულტურების თესლით (სადაზღვევო ფონდის გათვალისწინებით) საგაზაფხულო თესვისათვის.

სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს დავალა უზრუნველყოს 1981-1985 წლებში სოფლის მეურნეობის საჭიროებებისათვის განკუთვნილი საკმარისი რაოდენობის ყრბ-4,2 სამკელების წარმოება პარკოსანი კულტურების მოსავლის ასაღებად, აგრეთვე დაიჩქაროს პირდაპირი დინების პკკ-3,5 სამკელ-სათიბელების დახვეწა და მათი გამოშვება 1982 წელს.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას დაავალათ:

უზრუნველყონ, რომ 1981-1985 წლებში შეიქმნას ახალი მაღალპროდუქტიული, საადრეო, გვალვაგამძლე, მავნებლებისა და დაავადებებისადმი მედეგი, მაღალხარისხოვანი მარცვლის მქონე ჯიშების წიწიბურა, ფეტვი, ლობიო და ოსპი, რომელთა მოსავლის აღება შეიძლება მექანიზებული წესით, აგრეთვე შემუშავდეს ამ კულტურების თესვა-მოყვანის ტექნოლოგიები;

განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი წიწიბურას, ფეტვის, ლობიოსა და ოსპის მეთესლეობის ძირეული გაუმჯობესებისა და სამრეწველო საფუძველზე გადაყვანისათვის, აგრეთვე ახალი ჯიშების თესლის დაჩქარებული გამრავლებისათვის, რათა უზრუნველყონ, რომ უახლოეს წლებში დაითესოს ამ კულტურების საუკეთესო დარაიონებული ჯიშების მაღალხარისხოვანი თესლი.

ნება დაერთოთ საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს, და რჩევა მიეცათ კოლმეურნეებს დაუდონ მტკიცე ნებაყოფლობითს საფუძველზე მათს ტერიტორიაზე მცხოვრებ და საზოგადოებრივ წარმოებაში ეკთილსინდისიერად ჩაბმულ კოლმეუ-

(დასასრული მე-2 გვ.).

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

სქემა გამოაჩინა

საბჭოთა სამხრეთ ოსეთის მესამოცე წლისთავს შრომითი გამარჯვებებით შეეგება ცხინვალის მექანიკური ქარხნის მოწინავე მუშა ვასილ ფუზაევი — მან 6 თვის გეგმა შეასრულა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ზნაურის რაიონის მუგუთის კოლმეურნეობის სახელგანთქმულმა მექანიზატორმა უ. ქელეხსაევმა საიუბილეო დღეებისათვის წარმატებით დაამთავრა საგაზაფხულო ხვნა-თესვის სამუშაოები, ხეხილის წამლობა და ჯეჯილში სასუქების შეტანა.

ს ურ ა თ ებ ზ ე: ვ. ფუსხაევი და უ. ქელეხსაევი.
გ. გუსკოვის ფოტო.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მოსკოვს დაბრუნდა

10 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი კიევდან მოსკოვს დაბრუნდა. იგი მონაწილეობდა ზეიმში, რომელიც მიეძღვნა „1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის ისტორიის უკრაინის სახელმწიფო მუზეუმის“ მემორიალური კომპლექსის გახსნას.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად დაბრუნდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი დ. თ. უსტინოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი, რომელიც მოსკოვის დელეგაციას მეთაურობდა ზეიმზე.

ვაგზალში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს დაჰვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ი. ვ. ანდროპოვი, მ. ს. გორბაჩოვი, ა. ა. გრომიკო, მ. ა. სუსლოვი, ნ. ა. ტიხონოვი, კ. უ. ჩერნენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები პ. ნ. დემიჩევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები გ. ს. პავლოვი, ი. გ. პავლოვსკი, ს. კ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

რნენებს, მუშებს, მოსამსახურეებსა და სხვა მოქალაქეებს, აგრეთვე პენსიონერებს ლობიოს მარცვლის თესვა-მოყვანისა და შესყიდვის ხელშეკრულებანი. აღნიშნულ ხელშეკრულებათა მიხედვით შესყიდული ლობიოს მარცვალი ანაზღაურონ მორიგებით დათქმული ფასების თანახმად, რომლებიც არ უნდა აღემატებოდეს დაწესებულ სახელმწიფო შესყიდვის ფასებს.

კოლმეურნეებს, მუშებს, მოსამსახურეებსა და სხვა მოქალაქეებს, რომლებიც მეურნეობებთან დებენ ლობიოს მარცვლის თესვა-მოყვანისა და შესყიდვის ხელშეკრულებებს, მიეცით დამატებითი მიწის ნაკვეთები მისი თესვა-მოყვანისათვის, როგორც საკარმიდამო მიწების ხარჯზე, ისე, საჭიროების შემთხვევაში, მეურნეობათა მიერ დროებით გამოყოფილები მიწების ხარჯზეც.

დადგენილია, რომ ამ გადაწყვეტილებების შესაბამისად ლობიოს მოსაყვანად მოქალაქეებისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთებიდან სასოფლო-სამეურნეო გადასახადი არ იანგარიშება. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს დაევალა საშემოსავლო გადასახადით არ დაუბეგროს მოქალაქეებს შემოსავალი, რომელსაც აღნიშნული ნაკვეთებით სარგებლობის შედეგად იღებენ.

კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები მოვალენი არიან ყოველნაირი დახმარება გაუწიონ კოლმეურნეებს, მუშებს, მოსამსახურეებსა და სხვა მოქალაქეებს საკარმიდამო ნაკვეთებსა და დამატებით გამოყოფილ მიწის ნაკვეთებში ლობიოს მოსაყვანად.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს წინადადება მიეცათ შეიმუშაონ და დაამტკიცონ ლობიოს თესვა-მოყვანისა და მისი მარცვლის შესყიდვის ტიპობრივი ხელშეკრულებანი, ამასთან გაითვალისწინონ აღნიშნულ ხელშეკრულებებში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციების მოვალეობანი, რომ მათთან ხელშეკრულების დამდებ კოლმეურნეებს, მუშებს, მოსამსახურეებსა და სხვა მოქალაქეებს უნდა დაეხმარონ ლობიოს თესლის მინერალური სასუქების, ჰერბიციდების შეძენაში, მიაშველონ მათ საჭირო ტექნიკა, სატრანსპორტო საშუალებები და გაუწიონ სხვა სამსახური; აგრეთვე გაითვალისწინონ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის წესი და ანაზღაურების პირობები.

დადგენილია, რომ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ კოლმეურნეებთან, მუშებთან, მოსამსახურეებთან და სხვა მოქალაქეებთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით შესყიდული ლობიოს მარცვალს ეს მეურნეობები სახელმწიფოს მიჰყიდიან, რაც ჩაეთვლებათ მარცვლეულის სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შესრულებაში და მიეცემთ რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის დაწესებული სართი.

„ცენტროსოიუზს“ დაევალა გაანახორციელოს დამატებითი ღონისძიებანი მოსახლეობაში ლობიოს მარცვლის შესყიდვის გასაადიდებლად.

სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს ნება დაერთოთ შეისყიდონ 1981-1985 წლებში ლობიოს მარცვალი კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, მოსამსახურეებისა და სხვა მოქალაქეებს უნდა დაეხმარონ ლობიოს თესლის მინერალური სასუქების, ჰერბიციდების შეძენაში, მიაშველონ მათ საჭირო ტექნიკა, სატრანსპორტო საშუალებები და გაუწიონ სხვა სამსახური; აგრეთვე გაითვალისწინონ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის წესი და ანაზღაურების პირობები.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ავალებენ, ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი და საგულისხმო. ლენინური პარტიის ვეტერანები, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის მგზნებარე მებრძოლები, პირველი ხუთწლედების გმირები, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის, ომისშემდგომი აღშენებლობის მონაწილენი შეიკრიბნენ თბილისში, რათა ერთხელ კიდევ ცხადყოთ თავიანთი უსაზღვრო ერთგულება დიდი ოქტომბრის იდეალებისადმი, ურღვევი შეკავშირება მშობლიური კომუნისტური პარტიის, ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და მისი მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გარშემო.

ლენინის იდეებით, ბრძნული ლენინური მითითებებით ამოზრდილნი საბჭოთა ადამიანები თავიანთ საქმეებსა და აზრებს. ძველი ბოლშევიკები შეიკრიბნენ საქართველოს დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე, რომელიც ვ. ი. ლენინის სახელს ატარებს, რათა გვირგვინით შეემკოთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ძეგლი. მათ აგრეთვე გვირგვინებით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი, პატივი სცეს დიდი სამამულო ომის ფრონტებზე დაღუპულ გმირთა ნათელ ხსოვნას.

განუყრელია თაობათა კავშირი. მათი იდეური ნათესაობის, საერთო ინტერესებისა და მიზნების ცოცხალი კავშირი განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ პარტიის ვეტერანთა რესპუბლიკურ შეკრებაზე. იგი გაიმართა 11 მაისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის საკონფერენციო დარბაზში.

შეკრების თითოეული მონაწილის ბიოგრაფია მკაფიო ფურცელია ლენინური პარტიის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს გმირული მიღწევების მატიანეში.

მათთან ერთად შეკრებაზე არიან პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები, ისინი, ვინც ღირსეულად განაგრძობს პარტიის ვეტერანთა საქმეს, წმიდად იცავს და ამრავლებს რევოლუციურ ტრადიციებს.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები პ. გ. გილაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ო. ე. ჩერქეზიანი, ნ. ა. ჭითანავა, თ. ი. მოსაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ე. ა. სეხნიაშვილი, ჟ. კ. შარტავა, ძველი ბოლშევიკები, მოსკოვის, ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების პარტიის ვეტერანთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შეკრება გახსნა პარტიის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ, სკკპ წევრმა 1921 წლიდან მ. ი. ჯაშმა. პარტიის ვეტერანთა სახელით იგი მიესალმა რესპუბლიკის მშრომელებს და მხურვალედ მიულოცა დღესასწაული — საბჭოთა საქართველოსა და მისი კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავი, განაცხადა, რომ ძველი ბოლშევიკები კვლავაც იქნებიან საბრძოლო მწყობრში, აქტიურად დაეხმარებიან რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას მშრომელთა და განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში.

დამსწრეთ ერთსულოვნად, ტაშის გრიალით აირჩიეს შეკრების საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს პ. გ. გილაშვილს.

ჩვენი დღევანდელი შეხვედრა,— თქვა მან, — განსაკუთრებული მნიშვნელობითაა აღსავსე იმიტომ, რომ მიმდინარეობს საბჭოთა საქართველოსა და მისი კომპარტიის მე-60 წლისთავის დღესასწაულის წინ, რომლის სათავეებთან იდგნენ თქვენ, იმიტომ, რომ თქვენი თანდასწრებით თითქოს ვგრძნობთ ბოლშევიკთა ლენინური გვარდიის დიადი ისტორიის მოჯისცემას, იმიტომ, რომ ვეტერანი კომუნისტების შეკრება — ეს არის სიმტკიცის, ერთგულების, ჩვენი დღევანდელობისა და ჩვენი მერმისის, ახალი თაობების მომავლის საკეთილდღეო საგმირო საქმეთა მადლიერი ხსოვნის ნათელი გამოვლინება.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის, საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელის სახელით ამხ. გილაშვილმა გულითადად მიულოცა პარტიის ვეტერანებს მომავალი სახელოვანი დღესასწაული, უსურვა მათ ჯანმრთელობა და დღეგრძელობა.

თქვენი საქმიანობის წლებში, თქვა შემდეგ მან, პარტია გახდა პროლეტარული სოლიდარობის ინტერნაციონალური თანამგზაბრობისა და ძმობის საბრძოლო სკოლა, ბოლშევიკური ერთგულების გამოცდის სკოლა, გამოცდისა, რომელსაც ყველამ როდი გაუძლო. თქვენ, პარტიის ვეტერანები იდექით იმ ბრძმედთან, სადაც იწრთობოდა პარტიის იდეები, ვაჟკაცდებოდნენ მისი მებრძოლები, მჭიდროვდებოდა მათი რიგები.

თქვენ, ძვირფასო მეგობრებო, ხართ ქართველი ხალხის-თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ისტორიული ბრძოლის უშუალო მონაწილენი, თქვენ ხართ მოწმენი და მონაწილენი რესპუბლიკის სახელოვანი, გმირული სამოცი წლის აღმასვლისა ეკონომიკური, სოციალური და სულიერი აყვავების მწვერვალებისაკენ.

შემდეგ ამხ. გილაშვილმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ მოიხვეჭეს საქართველოს შვილებმა — პარტიის ვეტერანების აღზრდილებმა უჭკნობი დიდება დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში, როგორ ჭედდნენ ისინი ოციანი წლების სადარი მამაცობითა და ურყევობით, ფრონტებზე და ზურგში ისტორიულ გამარჯვების ძლიერ და ვერაგ მტერზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ისტორიულმა ოქტომბრის პლენუმმა, რომელმაც დაგმო სუბიექტივიზმი და ვოლუნტარიზმი, სათავე დაუდო პოზიტიურ პროცესებს მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, უზრუნველყო პარტიის ხელმძღვანელი როლის გაძლიერება კომუნისტურ მშენებლობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ მოითხოვა იმ ღონისძიებათა ფართო სისტემის განხორციელება, რომელთა მიზანია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობა, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლება, მათი პოლიტიკური შეგნებულობის კოლმეურნეობა, ინტელიგენციის, ინჟინერ-ტექნიკოსთა, ახალგაზრდობის, ქალების, ინვალიდების, ოჯახების, ბავშვების, ეროვნული პატარა ერების, ეროვნული ენების, ეროვნული კულტურების, ეროვნული ტრადიციების, ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული ბიბლიოთეკების, ეროვნული ინსტიტუტების, ეროვნული ენციკლოპედიების, ეროვნული ლექსიკონების, ეროვნული ენციკლოპედიური ლექსიკონების, ეროვნული ენციკლოპედიური ლექსიკონების, ეროვნული ენციკლოპედიური

60 გამარჯობა, ოსეთო ჩვენო!

...კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, მდინარეების ქსნის, ლიახვისა და ჯეჯორის ხეობებში, მაღალ მთებშია ჩაფენილი საქართველოს ერთ-ერთი თვალწარმტაცი მხარის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქალაქები და სოფლები. ეს მადლიანი მა-ბარი განთქმულია თავისი ბალ-ვენახებით, მინდვრებით, მთის ...ძოვრებითა და ფერმების სიუხვით, მინერალური წყლებითა და სხვა ბუნებრივი რესურსებით და, რაც მთავარია, გამრჯე ადამიანებით.

ყველაფერი, რასაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა ამ ... წლის მანძილზე ეკონომიკის, მეცნიერებისა და განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და ყოფა-ცხოვრების საქმეში მიაღწია, საბჭოთა წყობილების გამარჯვებისა და ხალხთა ლენინური მეგობრობის შედეგია.

ამ დღეებში ოლქის ქალაქებსა და სოფლებში, ისე როგორც ...ელ საქართველოში, მშრომელები ხალხიანი განწყობით ...ზეიმობენ, რომ საქართველოს კომპარტიის შექმნისა და საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავს ახალი წარმატებებით შეეგებ...ნენ. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელები, ნამ...ელად ხახალხო ინტელიგენციის წარმომადგენლები დღენიადაგ ენერგიულად იღვწიან, რომ საპატიო შრომითი ნობათები მიუძღვნან ამ დიდ თარიღს.

საბჭოთა სამხრეთ ოსეთის მეცამეცე წლისთავთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ თანამშრომლები ესაუბრნენ სახალხო დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს თ. კაბულოვას, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანს ნ. ოდიშვილს, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორს ი. გაგლოევს, საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების პასუხისმგებელ მდივანს კ. მარღიევს. გაზეთის მუშაკები იყვნენ აგრეთვე ოლქის ქალაქებსა და რაიონის ცენტრებში, სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებში და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მათთან შეხვედრის შემდეგ, მდიდარი შთაბეჭდილებების მიხედვით, შეიქმნა ეს ნარკვევი, რომელსაც ამ სასიხარულო, საიუბილეო დღეებში მკითხველს ვთავაზობთ.

საბჭოთა ხელისუფლების განვლილ პერიოდში ოლქში აშენდა კვაისის ტყვია-თუთიის კომბინატი, ელექტროვიბრომანქანების ქარხანა, მექანიკური ქარხანა, მომინანქრებული სადენების ქარხანა, სატრიკოტაჟო ფაბრიკა, ლუდის, „ძაუს“, „ბაგიათას“ მინერალური წყლების ჩამოსასხმელი, ღვინის, ხილ-კენკრის საწარმოები, აშენდა უამრავი ახალი საცხოვრებელი სახლი.

ოლქის მრეწველობაში დიდი წინსვლა იგრძნობოდა მეათე ხუთწლედში. უფრო მეტი გაკეთდება მეთერთმეტე ხუთწლედში.

მუშაკაცი გლეხკაცის ძმაა

რევოლუციის გარიჟრაჟზე ოლქში სამრეწველო საწარმოები არ იყო და მუშა რას ნიშნავდა, ბევრმა არც კი იცოდა. შემდეგ, როცა თავისუფალი შრომის სუფევის დრო დადგა, ცხინვალში სამრეწველო საწარმოებს ჩაეყარა საფუძველი. ოცანი წლების ნახევრიდან კი, როცა ლიახვზე ჰიდროელექტროსადგური თითქმის შიშველი ხელებით ააშენეს, როცა ჩაბნელებულ ქუჩებში წყვდიადი ელნათურამ განდევნა, პატარა დაბა ცხინვალის გულში რწმენა ჩამდგარმა მშრომელებმა საბოლოოდ ირწმუნეს ახალი ცხოვრების სიძლიერე და პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაძახილზე უყოყმანოდ ებმებოდნენ ახალი ცხოვრების ფერხულში.

ლიახვის ჭალს კენჭვის ჰესი მოჰყვა, შემდეგ წლებში კი მექანიკური ქარხანა აშენდა. მასზე ადრე მინერალური წყლის „ძაუს“ ჩამოსასხმელი საწარმო გაიხსნა, მერე — სამკერვალო ფაბრიკა და ცხინვალში მუშათა ახალი თაობა გაჩნდა. პატარა დაბა ქალაქად გარდაიქმნა. ოლქის მუშათა კლასი გაძლიერდა, გამრავლდა და სულ ახალ-ახალ სიმაღლეებს შეეჭიდა, მეცნიერების მიღწევათა წარმოებაში დანერგვამ მთელ ქვეყანაში და ცხინვალშიც ტექნიკური პროგრესი უფრო მეტად გაზარდა, აშენდა ახალი ტიპის ავტომატური ქარხნები და ხელით შრომა მანქანებმა შეცვალა.

აღმშენებლობის დასაწყისი ახალგაზრდული იყო. ეკონომიკა დღითი დღე, ძალას იკრებდა.

სამხრეთ ოსეთის მუშათა რიგები ახალი ტიპის განსწავლულმა ახალგაზრდობამ შეავსო. ელექტროვიბრომანქანების, მომინანქრებული სადენების ქარხნები თანამედროვე ავტომატური საწარმოებია. აქაური ნაწარმი მარტო საქართველოსა და მომძე რესპუბლიკებში კი არა, საზღვარგარეთაც იგზავნება. აი, როგორი ნახტომი გააკეთა ცხინვალმა. ამ საუკუნის ოციან წლებში თითქმის არ იყო ქარხანა, ახლა კი აქაურ მაღალხარისხოვან ნაწარმს უცხოეთის ბევრი ქვეყანა იძენს!

კვაისა. ჯეჯორის ხეობაში ომის შემდგომ მოვიდნენ აქ მშენებლები და წინასწარ მოკვლეული საბადოს საექსპლოატაციოდ გადათავისი ადგილი დაიჭირეს ქვეყანაში. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტით 1922 წლის 20 აპრილს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა.

როგორც მთელ საქართველოში, ისე სამხრეთ ოსეთში იმ ხანად სახალხო მეურნეობა მოშლილი იყო. მიუხედავად ამისა რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, მთელმა ქართველმა ხალხმა გულთან ახლოს მიიტანეს შექმნილი მდგომარეობით გამოწვეული სიძნელეები და დახმარების ხელი გაუწოდეს ახლად შექმნილი ოლქის მშრომელებს. ეს იყო ძმობისა და მეგობრობის დიდი მაგალითი.

1925 წელს დიდ ლიახვზე აშენდა სამხრეთ ოსეთში პირველი ელექტროსადგური, რომელმაც მშრომელთა გული და გონება გაანათა, რწმენა ჩაუნერგა აწმყოსა და დიადი მომავლისა. ხუთი წლის შემდეგ კი ამას მოჰყვა კეხვის ახალი ელექტროსადგური. ოცდაათიან წლებში საკოლმეურნეო ცხოვრებას, კოლექტიურ შრომას დაედო სათავე და სულ შეიცვალა გლეხკაცის განწყობილება, თვალებში სხივი ჩაუდგა და რაკი თავისად დაიგულა მიწა-წყალი, ეს ზეცა და საცხოვრისი, სულ ერთიანად წამა დატრიალდა ბედი სოფლის მშრომელთა.

მუშაკაცი გლეხკაცის ძმაა

სამხრეთ ოსეთის მშრომელები სამართლიანად ამაყობენ, რომ საქართველოს მშრომელებთან ერთად ხელისუფლებაკიდებული იბრძოდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რომ მათი შვილების სახელებიც ამშვენებს ოქტომბრის რევოლუციისა და საბჭოთა წყობილების გამარჯვებისათვის თავდადებულ ადამიანთა დიდ გალერეას. მათ შორის არიან კავკასიაში რევოლუციური მოძრაობის აქტიური წევრები და გამოჩენილი რევოლუციონერები გიორგი გაგლოევი, სიკო და დავით ალიმბარაშვილები, გიორგი ელისაბედაშვილი, შაქრო ვალიევი, სამსონ სანაოევი, მიხა პაპუნაშვილი, ზაკა გასიევი, ანტონ დრიაევი, ვასო ხუბაევი, ივანე ხუგაევი და სხვები.

ახალი ცხოვრების განთიადზე

ბორის რაიონს რომ გასცდებოდ და ქალაქ ცხინვალის გარეუბნებს მიუახლოვდებოდ, გზის პირას, აკაციების კორომთან ცაში ...ყორცნილი თეთრი სვეტის წვეტი ... ფრთგაშლილი მტრედია. ...ხრეთ ოსეთის მშრომელებს ...ცომოყვარეობის აღსანიშნავად ...ვანთი შრომისა და მოქმედების ...ბოლოდ გაფრენილი მტრედი ...ურევიათ. ეს არც გასაკვირია, ...დგან, როცა ახალი ცხოვრება ...ებოდა, როცა ბრძოლა იყო ...ალებული მშვიდობიანი შრომ...თვის, მაშინვე ნათელი იყო ...თი მიზნები და ამოცანები, რომ ...მავალი მშვიდობიანი შრომის ...ამიანებს ეკუთვნით. მეგობრობა სიმბოლოდ მტრედი შეთ...ევეთ არ აურჩევიათ. გადავხვეთ ისტორიას, ახლო წარსულს, ...ყოს და ამაში ნათლად დავრ...ენდებით.

...ერ კიდევ 1905-1907 წლებში ...ხრეთ ოსეთის გლეხობამ გამო...ლნა თავისი მისწრაფება თა...ეფლების იდეალებისაკენ. ...რაას ხუთი წლის დეკემბერში ...ვოლუციამ მოიცვა მთელი სა...ოველო, მათ შორის იყო გო...ს მაზრა, რომელშიც იმ ხანად ...ხრეთ ოსეთი შედიოდა. ცხინ...ლი და მის ირგვლივ მდებარე ...ფლები იყო შეიარაღებული ...ნების ერთ-ერთი ცენტრი. ...ფის ხელისუფლება ამ რაიონს ...ვოლუციის კერად თვლიდა. ...ცა რუსეთში პირველი რევოლ...ცია დამარცხდა, სამხრეთ ოს...ში, ისევე როგორც მთელ ქვე...ანაში, მაინც არ წყდებოდა თა...ისუფლებისათვის ბრძოლა. ხან ...ინვალში, ხან კი სხვაგან გლე...ი გამდიოდნენ და თავის...ფლებისათვის მოუწოდებდნენ ...ლს.

შემდეგ კი, როცა რუსეთში ...ქტომბრის რევოლუციამ გაი...ოჯა, საქართველო მენშევიკთა ...ლში მოექცა, მაგრამ რევოლ...ციურად განწყობილი გლეხრ...ი იარაღს არ ყრიდა. 1917 წლის ...ვისტოში სოფელ ორტევში გლე...ა რევოლუციური კავშირი შე...ქმნა, რომელმაც მიზნად დაისა..., რომ გადამწყვეტი ბრძოლა ...ემართა მემამულეთა და მენშე...კთა წინააღმდეგ. ერთი თვის ...ვგვინებით შეიტყეს სამხრეთ ...ეთის სოფლის მშრომელებმა ...ტომბრის რევოლუციის გამარჯ...ების ამბავი. 1918 წლის 18 მარტს ...ქართველოს გლეხობასთან მჭი...რო კავშირით სამხრეთ ოსეთის ...ეხობამ გაანადგურა მენშევიკ...ური ნაწილი, რომელიც სამხრ...თ ოსეთში იდგა, გაათავისუფ...ა ცხინვალი და 23 მარტამდე ...ელში ეპყრათ ძალაუფლება. ...ოგორც ვიცით ასეთივე გლეხ...ა აჯანყებებმა იმ ხანად საჩხერესა ...და დუშეთშიც იფეთქა. ამ აჯან...ებებში ქართველ გლეხკაცობასთან ხელიხელჩაკიდებული ოსი ...რომელები ერთგულად იბრ...ძოდნენ. ასე თანდათანობით, ...ევოლუციურ ბრძოლებში ყა...ალიბდებოდა და დუღაბდებოდა ...ართველთა და ოსთა ძმობა და ...ეგობრობა.

...ცხრაას თვრამეტი წლის ივლი...ის ბოლოს სოფელ ჯავაში გა...იმართა კომუნისტთა კრება, რომელზეც შეიქმნა კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) სამხრეთ ოსეთის საორგანიზაციო ბიურო, რომელშიც შევიდნენ: ვ. ა. სანაკოევი (თავმჯდომარე), ს. გ. გაგლოევი და ა. ი. პლიევი. ორგბიურომ დიდი მუშაობა გასწია სამხრეთ ოსეთის ბოლშევიკური ორგანიზაციის შექმნისათვის. 1919 წლის 12 ივნისს მოაწყო პირველი არალეგალური პარტიული კონფერენცია, სადაც პარტიის არალეგალური საოლქო კომიტეტი აირჩიეს ვ. ა. სანაკოევის (თავმჯდომარე), ა. მ. ჯატიევის (მდივანი), ს. გ. გაგლოევის, ა. ი. პლიევის, ა. ნ. აბაევის შემადგენლობით.

ჩვენმა თანამედროვეებმა უნდა იცოდნენ, თუ რა მოხდა ამის შემდეგ: გლეხობა კვლავ გამოდიოდა და თავისუფლებისათვის იბრძოდა, თანდათან ახლოვდებოდა სასურველი დრო. 1920 წლის აპრილის ბოლოს როკის რაიონში ისევ იფეთქა გლეხთა აჯანყებამ, ვლადიკავკაზში ფორმირებული სამხრეთ ოსეთის პარტიზანების დახმარებით გაანადგურეს მენშევიკთა ჯარის ნაწილები, 500 კაცი ჩაიგდეს ტყვედ. 8 ივნისს ცხინვალში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა, მენშევიკთა კონტრრევოლუციურმა ნაწილებმა სასტიკად გაიხეშტრეს თავისუფლების მოყვარულ ადამიანებზე, ციცხლითა და მახვილით გაუმასპინძლდნენ მათ მთელ სამხრეთ ოსეთში. უკანდახეულმა რევოლუციონერებმა ჩრდილოეთ კავკასიას შეაფარეს თავი. აქ აღსანიშნავია ვ. ი. ლენინის ჩვეული გულისხმიერება. მან 1920 წელს ვლადიკავკაზის რევკომს ტელეგრაფით აცნობა, რომ გამოქცეულებისათვის დახმარება აღმოეჩინათ.

როგორც ვიცით, 1921 წლის თებერვალში მთელმა საქართველომ იზეიმა დიდი გამარჯვება. თანდათან ყველა კუთხეში შედიოდა ნათელი ოქტომბრის რევოლუციისა. 5 მარტს კვლავ გაათავისუფლეს ცხინვალი და საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. ეს დიდი გამარჯვება კომუნისტური პარტიის, მისი ყველა წევრის გმირული ბრძოლით მოიპოვეს, და დაიწყო აღმშენებლობის დიადი ხანა. მაგრამ დიდ საქმეს დიდებული ადამიანებიც შეეწირნენ. მშრომელთა გულში კვლავ ცოცხლობენ ისაკ ხარებოვის, ზნაურ აიდაროვის, ვ. თიბილაშვილის ნათელი ხსოვნა; არ ივიწყებენ აგრეთვე ცხინვალში დახვრეტილი კომუნარების დანიელ ვალიევის, ნიკოლოზ ვალიევის, სოსკო გობოზოვის, რეზო ჯიღოლავის, ბუტუ ძერანგოვის, ნიკოლოზ ტოლიევის, გიგო ქუმარატოვის, ივან თედეევის, პაშკა ხოდოევის, კაშირ ცხოვრებოვის, თოთრა ცხოვრებოვის და ბევრ სხვათა ნათელ ხსოვნას.

შემდეგ კი, როცა დიადი ბრძოლებით მოპოვებული ცხოვრება კალაპოტში ჩადგა, როცა საწყისი მიეცა ახალ წყობილებას, ყველა ეროვნების წარმომადგენლებმა თავის სოფლებს კოლექტივიზაციის ხანაში ტრაქტორები, სამკელები, სათესელები, რკინის ფარცხები, სამკელები, სალეწები და მარცვლის სანიავებლები რომ მოუმზადონ, მაშინ სოფლის პატიოსანმა მშრომელებმა საბოლოოდ შეაქციეს ზურგი ბობოლებსა და კულაკებს, კოლმეურნეობაში გაერთიანდნენ და მიწას ერთიანი ძალით შეეჭიდნენ. კოლექტიურმა შრომამ გაიმარჯვა და გლეხკაცობა დაარწმუნა თავის ძალაში!

რა იცოდა მაშინ რაოდენ ქელეხსაევმა, რომ მისი შვილი მექანიზატორი ყაზბეგ ქელეხსაევი დიდი საბჭოთა ქვეყნის პარლამენტის დეპუტატი გახდებოდა კოლექტიურ შრომაში მანქანების მაღალხაყოფიერად გამოყენებისა და უხვი მოსავლის მიღებისათვის. ან როგორ წარმოიდგენდა ვლადიმერ ელოევი, რომ მისი შვილი, მწვალავი დუსია ელოევა აგრეთვე ჩვენი ქვეყნის დიდი პარლამენტის დეპუტატი იქნებოდა. განა სასიხარულო არ არის რომ შოთა გაბარაევი საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატია?

აი, ვის ბაძავს სამხრეთ ოსეთის ახალგაზრდობა, აი, ვისგან ითვლებენ ისინი მაგალითს! საქმეები კარგად რომ მიდის, ეს ჩვენი დღეების დიდი გამოძახილია, ეს შრომის ნაღსის მატებს ყველა პატიოსან ადამიანს. ლენინგორის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსს ი. ბაშარულს უხარია, რომ წელს მშობლიურ მთებს 120 ათასი ცხვარ-ბატკანი დაუბრუნდება ყიზლარის საძოვრებიდან. 42 ათასზე მეტი ბატკანი გვყავსო, გულდაჯერებით ამბობს ბაშარული, და გჯერა, რომ ეს შრომაში გამობრძმედილი კაცი თავის მთა-ბარზე ძალუმად არის შეყვარებული!

როდესაც სიტყვა განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვაზე ჩამოვარდება, ოლქის მშრომელები მაშინვე ოცდაათიან წლებს იგონებენ, როცა 1932 წელს ცხინვალში გაიხსნა სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. და მართლაც, განა საამაყო არ არის? საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ოლქში სკოლა თითქმის არ იყო და სულ რაღაც ათ წელიწადში სკოლების ქსელი ხომ გაფართოვდა, ინსტიტუტიც გაიხსნა, სადაც სწავლება სამ ენაზეა, ოსურ, ქართულ და რუსულ ენაზე ეუფლებიან ცოდნას ახალგაზრდები. აქ 12 სპეციალობის პედაგოგებს უშვებენ.

ინსტიტუტის 14 კათედრაზე 100-ზე მეტი მეცნიერი და უფროსი მასწავლებელი მუშაობს, რომელთაგან ბევრი მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატია. განა დიდი კონტრასტი არ არის? წინათ საშეალო განათლების მქონე კაცი ძალზე ცოტა იყო, ხოლო უმაღლესი განათლების მქონე იშვიათობას წარმოადგენდა. დღეს კი ყველა ოჯახშია უმაღლესდამთავრებული ან სტუდენტი.

ინსტიტუტი წელიწადში 300-ზე მეტ პედაგოგს უშვებს, არსებობის მანძილზე ცხინვალში 10 ათასამდე ახალგაზრდამ მიიღო პედაგოგის დიპლომი, რომლებსაც ოლქის სოფლებში შეაქვთ განათლების სხივი. ცხინვალში მიღებული დიპლომით ბევრი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელია, ბევრი მეცნიერია, ლიტერატორია, მწერალი და ხელოვნების მუშაკია.

...და რაოდენ სიმბოლურია: საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა სამხრეთ ოსეთის მე-60 წლისთავზე ცხინვალის სამხრეთ დასავლეთით, ნაცარგორაზე საძირკველი ჩაუყარეს ინსტიტუტის ახალ, დიდებულ შენობას. განა ძველი შენობა ურიგოა? არა, იგი მხოლოდ მოძველდა და დროის მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებს. საძირკვლის ჩაყრაზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი; აქ ბევრი სასიკეთო და სამადლობელი სიტყვა ითქვა ჩვენს პარტიაზე, საბჭოთა მრავალეროვანი ხალხების ინტერნაციონალურ მეგობრობაზე.

გავა დრო და ნაცარგორაზე აღმართულ დიდებული შენობიდან გამოსული ახალგაზრდები მოეფინებიან ოლქის ქალაქებსა და სოფლებს, რომ იქ კვლავაც კიაფობდეს განათლების სხივი.

ბევრი პროფესორი, მეცნიერებათა კანდიდატი მოღვაწეობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო კვლევითს ინსტიტუტში. ისინი იკვლევენ ოლქის მთების სიმდიდრეს, სახავენ სახალხო მეურნეობის ეკონომიკის წინსვლის გზებს, ეძებენ ნამზის სინთეზზე გამოქვაბ ოლქის ისტორიის, ლიტერატურისა და სხვა ნიმუშები.

ჯავაში, მის ირგვლივ ხევებში, წიწვიან და ფოთლოვან ტყეებში ისეთი ჰაერი და წყალია, მკვდარიც კი გაცოცხლდებაო, მაგრამ წინათ ამ ტყეებიდან ბატონის დაუკითხავად ჯოხსაც ვერ გამოიტანდით. დღეს სულ სხვაა: ჯავის მაღალმთიან კურორტსა და დასასვენებელ სახლებში ყოველწლიურად ჩვენი უკიდეგანო ქვეყნის რომელი კუთხიდან არ მოდიან აქ ჯანმრთელობის აღსადგენად, დასასვენებლად. ათასობით მოსწავლე და ბავშვი იკაჟებს ორგანიზმს სანატორიუმებსა და პიონერთა ბანაკებში.

მინერალურმა წყლებმა „ძაუმ“ და „ბაგიათამ“ მთელ საქართველოში გაითქვა სახელი თავისი სამკურნალო თვისებებით. „ძაუ“ და „ბაგიათა“ ჩვენი ქვეყნის სხვა მხარეებსა და რესპუბლიკებშიც გადის.

წინათ სამხრეთ ოსეთში უმაღლესი განათლების მქონე კაცს იშვიათად შეხვდებოდით. ახლა ოჯახი არ არის, სადაც უმაღლესდამთავრებული არ იყოს, ან უმაღლეს სასწავლებელში არ სწავლობდეს. წინათ ოლქში სკოლა და ჯანმრთელობის კერები იშვიათობა იყო. ახლა თითქმის ყველა სოფელშია ან საშუალო, ან რვაწლიანი სკოლა; ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში კი ცოდნას სამ ენაზე ეუფლებიან ახალგაზრდები. 2.200-ზე მეტი პედაგოგია ოლქში. ყველგან არის ექიმი და სამედიცინო პუნქტი, სანატორიუმები და დასასვენებელი სახლებიც არის განთქმული სამხრეთ ოსეთი. აქ არის 6 რაიონული საავადმყოფო და პოლიკლინიკა, ქ. ცხინვალში 200 სანოლიანი შესანიშნავი საავადმყოფო აშენდა. ოლქში 60-ზე მეტი ექიმი და 300-მდე საშუალო სამედიცინო პერსონალია.

მშრომელთა სულიერი საწყისი

აბა დაალაგირდით გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ მეოთხე გვერდის ბოლო სვეტში მცირე ზომის განცხადებას: სამხრეთ ოსეთის ქ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი იუწყება, რომ 11 აპრილს ოსური დასის წარმოდგენაა — „ძალად ექიმი“, 12 აპრილს, კვირას ქართული დასი სპექტაკლ „კოსტას“ წარმოადგენს: ზრაბადის დასვენებაა, 14 აპრილს ქართული დასის სპექტაკლი „ეშმაკი ქალიშვილი“ დანიშნული, 15 აპრილს კი ოსური დასის სპექტაკლი „ოჭ, ეს მოხუცები!..“

დღეები დღეებს მისდევს, და დღეგამოშვებით იმართება სპექტაკლები: ერთ დღეს რომ სცენა ოსურ დასს უკავია, მეორე დღეს ქართული დასის რიგია. ასე მეგობრულად, შეხმატკბილებულად მოღვაწეობს ერთ სცენაზე ორი სხვადასხვა დასი. პატარა ქალაქის მრავალეროვან მაცხოვრებელთა შორის ხომ ძირითადად ოსები და ქართველები არიან, თუმცა ერთმანეთის ენა კარგად ესმით და ქართველს ხშირად ნახავთ ოსური დასის სპექტაკლზე და პირიქით, ოსს — ქართული დასის სპექტაკლზე. ორივე დასი ოლქის სოფლებში ხშირად მართავს სპექტაკლებს და მშრომელთა დიდი სიყვარულით სარგებლობენ.

რაკი თეატრზე ვლაპარაკობთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სცენაზე გამოჩნდნენ და აღიზარდნენ გამოჩენილი მსახიობები ს. ჯატიევა, ზ. გაგლოევა, ნ. ჩიჩოევა, დ. მამიევი, ი. ძახოვი და ბევრი სხვა. თეატრში მოღვაწეობენ სცენის გამოჩენილი ოსტატები საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ბ. ცხოვრებოვი, გ. თაუგაზოვი, ნ. ჩაბიევა, ნ. ჩიჩიევა, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები თ. გასანოვა, რ. პლიევა, გ. ქოქოევი, ე. გუკაევა, ლ. გალავანოვა, რ. ძაგოევი, რ. ჩაბიევი, დ. გაბარაევი, ფ. ხარებოვი და ბევრი სხვა.

ახლა ამ ორ დასს ძლიერი მსახიობები ჰყავს, თანამედროვე თუ კლასიკური დრამატურგიის შესანიშნავ ნაწარმოებებს დგამენ და მათი საშემსრულებლო დონე დედაქალაქის თეატრებისას უტოლდება.

სოფლის მეურნეობაში და საერთოდ სახალხო მეურნეობაში მიღწეული წარმატებებისათვის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ლენინისა და ხალხთა მეგობრობის ორდენებით დაჯილდოდა. ათასობით სოფლის მშრომელის მკერდს ამშვენებს ლენინის, შრომის წითელი დროშისა და სხვა ორდენები და მედლები.

ოცდაათიან წლებში პირველი კოლექტივიზაციის დროს მოსახლეობის 30,1 პროცენტი ჩაება კოლექტიურ შრომაში, 1937 წელს — 91,9 პროცენტი, 1940 წელს — 98,7 პროცენტი, ახლა სოფლის თითქმის ყველა მშრომელი საზოგადოებრივ შრომაშია ჩაბმული.

ნამგლიდან კომბაინამდე

ორმოცდათორმეტი წლის წინათ ოლქში ერთადერთი პირველი ტრაქტორი გრუხუნით შევიდა, სოფლები აახმიანა, გოგონებმა კი არა, ჯანმაგარ ვაჟკაცებსა და მოხუცებსაც კი გული აუთრთოლა და გარეთ გამოიყვანა. თვითმავალ, გაბორჯღიო მანქანას ბევრი უნდობლად, შიშითა და გაოცებით უცქეროდა. ორღობეებში მიმავალ ტრაქტორს სოფლად გლეხკაცის შვება და იმედი მიჰქონდა.

ამხანად ოლქის ბარის სოფლებში მიწას ბევრგან კავით ხნავდნენ, ხოლო ვისაც ღირღიტა თვლებიანი რკინის გუთანი ჰქონდა და ორი უღელი ხარი ჰყავდა, შეძლებულ კაცად ითვლებოდა. ყანის სამკელად ნამგალსა და ცელს ხმარობდნენ. მერე კი, როცა სოფლად ღარიბი გლეხები შეჯგუფდნენ და გლეხკომები ჩამოაყალიბეს, როცა საფუძველი დაედო კოლექტიურ შრომას, გაჩნდა რკინის ფარცხი, სათესელა, ყანის სამკალი, რომელშიც ცხენება, ხოლო კალო პურის სანიავებელმა მანქანამ დაამშვენა, ღარიბობა წელში იმართებოდა, ქოხმახებიდან გაჭირვებამ გუდანაბადი აიკრა!

...და აჰა! ახლა კი ტრაქტორი! — უცხენოდ და უხაროდ მავალი რკინის მანქანა მოვევლინა სოფლის მხსნელად. სამხრეთ ოსეთის სოფლებს კოლექტივიზაციის ხანაში ტრაქტორები, სამკელები, სათესელები, რკინის ფარცხები, სამკელები, სალეწები და მარცვლის სანიავებლები რომ მოუმზადონ, ...ვლდა, მაშინ სოფლის პატიოსანმა მშრომელებმა საბოლოოდ შეაქციეს ზურგი ბობოლებსა და კულაკებს, კოლმეურნეობაში გაერთიანდნენ და მიწას ერთიანი ძალით შეეჭიდნენ. კოლექტიურმა შრომამ გაიმარჯვა და გლეხკაცობა დაარწმუნა თავის ძალაში!

...ა ...ოდა ...ეფ ...ეფ ...ეფ

დედის იმედი

თერჯოლელთა დელეგაცია თბილისში

„არის რაღაც მიჯნა, რაღაც წამი, როცა პატრიოტი მეომრის გულში სამშობლოს წინაშე ვალის ძეგნება შიშის გრძნობასაც ახშობს, ტკივილსაც და სიკვდილზე ფიქრსაც“. ლ. ი. ბრეჟნევის ეს სიტყვები ცოცხლდება გონებაში, როცა თავდახრილი ვდგავართ უცნობი ჯარისკაცის საფლავთან და მარადიული ცეცხლიც მარადიული უკვდავების სიმბოლოდ გვესახება.

36 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შეწყდა ტყვიამფრქვევების ცეცხლი. დამთავრდა დიდი სამამულო ომი, დამთავრდა იგი საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი გამარჯვებით, მაგრამ ომით მიყენებული ჭრილობები კვლავ მოუშუშებელია. პირი არ შეუკრავს შვილდაკარგული მშობლების, დაქვრივებული მეუღლეების, დაობლებული შვილებისა და დედმამიშვილების გულს იარას.

ღონისძიებანი, რომლებიც სამშობლოს საკურთხეველზე სიცოცხლეშეწირულთა ხსოვნას ეძღვნება, უდიდეს გავლენას ახდენს მთელ საზოგადოებრიობაზე; ახალგაზრდობის პატრიოტულ აღზრდაზე. ამ მიზანს ემსახურება თერჯოლელთა ოთხასკაციანი დელეგაციის ჩამოსვლა თბილისში დევიზით **„არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული“.**

ეს იდეა პარტიის თერჯოლის რაიკომში ჩაისახა, ამასთან დაკავშირებით პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ბურჯანაძემ გვიამბო:

— მას შემდეგ ექვსი წელი გავიდა, რაც ზარბაზნის ლაფეტზე დასვენებულმა უცნობი ჯარისკაცის ნეშტმა ქერჩიდან თბილისამდე იმოგზაურა. დასავლეთ საქართველოს გულდამწყვარი ჭირისუფლები სახელდახელოდ მართავდნენ სამგლოვიარო მიტინგებს, იფრქვეოდა ცრემლი და ყვავილები, ისმოდა ზალპის ხმები მეომრის პატივსაცემად.

თერჯოლის რაიონის 30-კილომეტრიან ტრასაზე გამოატარეს განსვენებული გმირი. გზის ორთავე მხარეს საპატიო ყარაულში იდგნენ სოფლის მშრომელები, დამწუხრებული მშობლები, ქვრივები და ობლები.

დიდ სამამულო ომში 13 ათასი თერჯოლელი ვაჟკაცი მონაწილეობდა, რომელთაგან 4 ათასი გმირის სიკვდილით დაეცა მტერთან ბრძოლაში. იმ რეგიონში კი, საიდანაც უცნობი ჯარისკაცის ნეშტი ჩამოასვენეს, სამარადისოდ განისვენებს 320 თერჯოლელი მეომარი. ჩვენ არ ვიცით სადაურია იგი — საზანოელი თუ თუზელი, ძვირელი თუ სიმონეთელი, ღვანკითელი თუ სიქთარველი, გოდოგნელი თუ ნახშირღელელი, ჭოგნარელი თუ ბარდუბნელი, მაგრამ, რატომღაც, მაინც დარწმუნებული ვართ, რომ იგი ჩვენი სისხლის და ხორცის მოზიარე იყო, საკუთარი ქვეყნის დაცვას შეეწირა და, რახან ასეა, ყველას ცრემლს ითხოვს.

9 მაისის დილის 8 საათია, სპეციალური მატარებელი დედაქალაქის ვაგზალზე ჩამოდგა. ვაგონიდან ჩამოდიან ყვავილებით ხელდამშვენებული რაიონის ნაშრომნაჯაფი, — საკავშირო და რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში მრავალგზის გამარჯვებული მშრომელები. მასპინძლებიც სახელოვანი ჰყავთ — თბილისის ლენინისა და გლდანის რაიონების წარმომადგენლები, თერჯოლიდან დედაქალაქში საცხოვრებლად და სამოღვაწეოდ გადმოსული მეცნიერები, ომის ვეტერანები, ბრძოლისა და შრომის გმირები, სპეციალისტები, სტუდენტები და ნათესავ-მეგობრები.

რაიონის ხელმძღვანელებმა მოკრძალებით გამოიყვანეს ძაძებით მოსილი დედები და მსუბუქ ავტომანქანებში ჩასხეს. ძნელია რამე ჰკითხო ოვალზე კურცხალმოდგარ მოხუცს. არადა, რად ღირს მათი ორიოდე სიტყვა!

თითქოს მიხვდაო, საუბარი დარბაისელმა იულია არჩილის ასულმა მაკარიძემ წამოიწყო:

— ჩემი შვილი გიორგი ომამდე გაიწვიეს არმიაში, შემდეგ თელავის ფეხოსანთა სასწავლებელი დაამთავრა და 1942 წლის ოქტომბერში ქერჩის მიმართულებით ჩაება მტერთან ბრძოლაში. ავადმოსაგონარ 1943 წლის ზაფხულში შემზარავი ამბავი მომივიდა. დაკარგე შვილი, მაგრამ მთლად უბედური არ დავრჩენილვარ, 5 შვილი, 11 შვილიშვილი და 2 დაიშვილი მიხანგრძლივებენ სიცოცხლეს. მადლობა რაიონის ხელმძღვანელობას, შვილს სატარად რომ ჩამომიყვანა დედაქალაქში, ჩვენი სოფლის საძვალე ადგილიდან აღებული მიწაც ჩამოგვიტანე გულზე მოსაფრქვევად. ჩემზე უფრო ცოდვაა ახალთერჯოლელი პილასი ცხადაძე, რომელმაც სამი ვაჟაცი დაკარგა ომში, ხოლო მისი მეზობელი კალინკა ბუცხრიკიძე ორი ვაჟის მოლოდინში აღამებს და ათენებს.

ზედასამონეთელი ნადია რიჟამაძე 83 წლისაა. ასაკთან შედარებით მხნედ გამოიყურება. როდესაც გაგეცაბურეთ, თავი ვერ შეიკავა, აქვითინდა. მხოლოდ იმის თქმა შეძლო, რომ მისი პირმშოები ვარლამი და დავითი ისე შეეწირნენ მტერთან ბრძოლას, საკუთარი ოჯახებიც არ შეუქმნიათო.

საუბარში ჩაერთო პარტიის თერჯოლის რაიკომის მდივანი ნ. ქოჩიაშვილი, მან ფრიად საინტერესო დეტალები გვიამბო:

— როდესაც ზედასაზნაოელ ნინო ჩუბინიძეს ვუთხარით დღეგანდელი ღონისძიების შესახებ და თბილისში წამოსვლა შევთავაზეთ. გვითხრა, ჩემი შვილი დაღუპული არ არისო. დაბრუნების იმედიც არ დაუკარგავს, რას იზამ, ასეთია დედის გული, ღმერთმა იმედი ნუ მოუშალოს!

ომში დაღუპულთა უკვდავსაყოფად სხვა ღონისძიებებიც განვახორციელეთ. სოფელ ჭოგნარში, სადაც ამაყად დგას უკვდავი კაპიტან ბუხაიძის ძეგლი, გუშინ გაიხსნა ჯარისკაცის სახლი. ამ სახლში ომამდე შესანიშნავი ახალგაზრდა პ. ბასილაძე ცხოვრობდა. მისი გმირულად დაღუპვის შემდეგ ოჯახის ფუძე მოიშალა, მაგრამ ხალხმა წმიდათაწმიდა სახლად აღადგინა იგი. თერჯოლის რაიონის შვიდმა ოჯახმა ოთხ-ოთხი ძმა დაკარგა ომში. მათ პატივსაცემად დაბის ერთ-ერთ ქუჩას ოთხი ძმის ქუჩა ეწოდა.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ თერჯოლელთა დელეგაციამ გვირგვინით შეამკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

შეხვედრას **„არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული“** ხსნის თერჯოლის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ვ. ხუჯაძე. საბჭოთა მეომრის საფლავთან დადებულ ფიცად გაისმა საბჭოთა კავშირის გმირის დ. ჯაბიძის, სიმფეროპოლელი კაპიტან ბუხაიძის ქალიშვილის დ. ბუხაიძის, გენერალ-პოლკოვნიკ კ. ლესელიძის დის ა. ლესელიძის, ომში დაღუპული ოთხი ძმის დის ზ. კუპატაძის, წვევამდელ გ. ბეღელაძის, მწერალ გ. ფანჯიკიძის, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტის, საბჭოთა კავშირის გმირის ვ. ჯანჯღავას მგზნებარე სიტყვები.

შეხვედრის შემდეგ თერჯოლის რაიონის მშრომელთა დელეგაციამ დაათვალიერა დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი, იყო ხალხთა მეგობრობის მუზეუმში.

დღის ოთხ საათზე დელეგაციამ გვირგვინებით შეამკო მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ვ. ი. ლენინის ძეგლი.

ემოციებით, განცდებით, შთაბეჭდილებებით აღსავსე მშრომელებს დიდხანს ეხსომებათ ეს დღე.

ო. ნიჟაბაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: თერჯოლის რაიონის მშრომელები თბილისის გამარჯვების პარკში დაკრძალული უცნობი ჯარისკაცის საფლავთან.

ჯ. ლომაძის ფოტო.

როტერდამიდან დიუსელ-დორფამდე

საზღვარგარეთის სპორტული პრესა კვლავინდებურად ბევრს წერს ევროპულ საფეხბურთო ტურნირებზე — ნახევარფინალურ მატჩებზე და მომავალ ფინალურ შეხვედრებზე.

ეჭვი არავის ეპარება ერთ საკითხში — თასების მფლობელთა თასის ფინალში ნამდვილად უძლიერესი გუნდები გავიდნენ. პორტუგალიელმა მიმომხილველებმა აღიარეს, რომ „बेनफიკა“ მობილურობით, ტემპით ჩამოუვარდება „კარლ ცაისს“ და ორი მატჩის შედეგით ფინალში ამჯერად უფრო ძლიერი გუნდი ითამაშებს. ზუსტად იგივეს წერენ თბილისის „დინამოზეც“. „ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო, მაგრამ ფინალის საგზური უკეთესმა გუნდმა მოიპოვა — განაცხადა „ფაიენორდისა“ და ჰოლანდიის ნაკრების მცველმა ვიინსტეკერსმა. ჰოლანდიელი მიმომხილველი კეეს ვან კოილენბერგი წერს იმ დიდ შთაბეჭდილებაზე, რომელიც თბილისის „დინამოს“ თამაშმა დატოვა. მან აღნიშნა, რომ „ფაიენოორდს“ მხოლოდ სამად სამი ფეხბურთელი (ვიინსტეკერსი, პეტერსი და ფერშეულენი) ჰყავს, რომელთა შედარება შეიძლება კლასის მიხედვით თბილისელ მოთამაშეებთან. ზაგრების გაზეთი „სპორტსკე ნოვოსტი“ აღნიშნავს იმ დიდ შეუპოვრობას, რომელიც „ფაიენოორდმა“ გამოავლინა სპასუხო შეხვედრაში, მოთამაშეები ბოლომდე იბრძოდნენ, მაგრამ „ფინალში უფრო ძლიერი გავიდა“. იმავე გაზეთში გამოქვეყნებულ მასალაში მოყვანილია „ფაიენოორდის“ მწვრთნელის ვაცლავ იელეკის სიტყვები: „ჩვენ ფინალში გასვლის შესაძლებლობა 14 დღის წინ, თბილისის მატჩში დავკარგეთ“.

რა თქმა უნდა, უყურადღებოდ არ დარჩენილა მატჩის მსაჯობა. სოფიის გაზეთი „ნაროდენ სპორტი“, მაგალითად, წერს: „როტერდამში დაახლოებით 25 ათასი მაყურებელი იმედოვნებდა, რომ მათი „ფაიენოორდი“ სასწაულს ჩაიდენდა და დაიბრუნებდა იმ სამ ბურთს, თბილისში რომ თავის კარში მიიღო. ეს ამაო იმედები გამოდგა, იმის მიუხედავად, რომ ავსტრიელი მსაჯი ვიორერი არაფერს არ მოერიდა, ოღონდ ფინალში საბჭოთა გუნდი კი არა, ჰოლანდიელები გასულიყვნენ, 21-ე წუთზე მან არ ჩათვალა შინგელიას მშვენიერი გოლი, შემდეგ კიდევ ორი... სამი ბურთი არ ჩათვალა, მაშინ, როდესაც თბილისელებმა ჩინებულად ითამაშეს და მეორე ტაიმში უპირატესობა ჭქონდათ!“

ასეა თუ ისე, როტერდამის მატჩი ისტორიას ჩაბარდა. დღის წესრიგში დადგა ფინალური შეხვედრა დიუსელდორფის „რაინშტადიონზე“. როცა ეიფამ გამოაცხადა, რომ თასების მფლობელთა თასის გადაწყვეტი მატჩი ამ ქალაქში გაიმართებოდა, დიდი იყო ადგილობრივი კლუბის „ფორტუნას“ სიხარული, მაგრამ შემდეგში, როგორც ცნობილია, საკუთარ გაუცყრვედა იმედები: აწლა იტალიელი საერთაშორისო არბიტრი რიკარდო ლატანციი მინდორზე სულ სხვა გუნდებს მოუხმობს.

როგორც კი გამოირკვა ფინალისტთა წყვილი, ბერლინის გაზეთი „დოიჩეს შპორტეხოს“ კორესპონდენტმა ჰკითხა „კარლ ცაისის“ წამყვან ფეხბურთელს რიუდიგერ შნუპჰაზეს: „როგორია თქვენი პროგნოზი ფინალური მატჩის წინ?“ „ჩვენ თბილისს „დინამოს“ უშუალო შეხვედრებით არ ვიცნობთ. უნდა ითქვას, რომ „რომას“, „ვალენსიასა“ და ახლა კი „ბენფიკას“ სახით ევროპული საკლუბო ფეხბურთის საუკეთესო წარმომადგენლებს ვძლიეთ. მართალია, „დინამო“ მაღალი კლასის გუნდია, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მას მოვუგოთ“.

„კარლ ცაისის“ ფეხბურთელებს ამ უკანასკნელ ხანებში დიდი დატვირთვა ჰქონდათ: „ეროვნული ჩემპიონატი (სადაც გუნდი ერთ-ერთი ლიდერია და პირველი ადგილისათვის იბრძვის), თასების მფლობელთა თასის მატჩები, წამყვანი ფეხბურთელებისათვის კი მსოფლიოს პირველობის შესარჩევი ჯგუფის მატჩებიც. 2 მაისს ხოჟუეში პოლონელებთან შეხვედრისათვის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ბუშნერმა ჯერ „კარლ ცაისის“ 6 ფეხბურთელი შეარჩია (მეკარე გრაპენტინი, მცველები ბრაუერი, კურბიუვაიტი, შუა ხაზის მოთამაშეები შნუპჰაზეს და ლინდემანი, თავდამსხმელი ბილაუ), შემდეგ კი მას ერთი (ლინდემანი) გამოაკლო.

ახლა კი ზოგი რამ იმ ფეხბურთელების შესახებ, რომელთა იმედიც „კარლ ცაისის“ მწვრთნელს აქვთ. მეკარე ჰანს-ულრიხ გრაპენტინი (37 წლის, 20 მატჩი ნაკრებში) უცვლელად თამაშობს როგორც თავის კლუბში, ისე ეროვნულ ნაკრებში. ჟურნალი „დი ნოიე ფუსბალვოხე“ და გაზეთი „დოიჩეს შპორტეხო“ ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ გრაპენტინი თამაშობს თანაბრად და სიმედოდ. იგი მაღალი, საერთაშორისო კლასის მეკარედ ითვლება.

ცენტრალური მცველი გერტ ბრაუერი (25 წლის, 5 მატჩი ნაკრებში) ამ სეზონში ძალიან კარგად თამაშობს და ახლა სისტემატურად იწვევენ ნაკრებში. ამ გუნდში ამას წინათ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ისევ მიიწვიეს ფრიად გამოცდილი მარცხენა მცველი ლოთარ კურბიუვაიტიც (30 წლის, 64 მატჩი ნაკრებში) რიუდიგერ შნუპჰაზე, რომელიც ნაკრებში შუა ხაზში გამოდის (იგი 27 წლისაა, ნაკრებში 24 მატჩი გამართა), „კარლ ცაისში“ ლიბეროს ფუნქციებს ასრულებს. ეს, ეტყობა, ძირითადად იმით აიხსნება, რომ ვაიზეს არყოფნისას საჭირო გახდა „კარლ ცაისის“ დაცვის ხაზის განმტკიცება. შნუპჰაზეს ლიბეროდ გამოყენება სულაც არ ნიშნავს თითქოს ეს მეტად ენერგიული, ძლიერი დარტყმის მქონე ფეხბურთელი მხოლოდ თავისი „კარის სიახლოვეს ითამაშებს. შნუპჰაზეს 70-მდე გოლი აქვს გატანილი ეროვნულ ჩემპიონატებში. ეს მცველს კი არა, მაღალი კლასის თავდამსხმელს შედეგი უფრო გახლავთ.

შემთხვევით არ არის ის გარემოებაც, რომ მიმდინარე ჩემპიონატში შნუპჰაზემ 12 ბურთი გაიტანა, მეტი, ვიდრე „კარლ ცაისის“ ნებისმიერმა თავდამსხმელმა, რაც შეეხება იენელთა წინა ხაზს, აქ ამ მომენტში ყველაზე ძლიერად ითვლება 22 წლის ანდრეას ბილაუ. მას შეუძლია ითამაშოს როგორც მარცხენა გარემარბად, ისე ცენტრალურ თავდასხმელად. ამას წინათ უდინეში იტალიელებთან შეხვედრისას ნაკრებში დებიუტიც ჭქონდა და თუმცა „სკუადრა აძურას“ ახალი ვარსკვლავი, დიდი ფიზიკური ძალის მქონე ვერნერ თომდის „მარწუხში“ მოხვდა, მწვრთნელი ბუშნერი მისი თამაშით უკმაყოფილო არ დარჩენილა. ბოლაუ მეტად ნენარფია, და ამას წინათ ლისაბონში „ბენფიკასთან“ შეხვედრის შემდეგ მიმომხილველები პორტუგალიელ მცველებს უსაყვედურებდნენ, მას საკმარის ყურადღებას არ ვუთმობდითო.

„კარლ ცაისი“ გერმანის დემოკრატიული რესპუბლიკის მეორე გუნდია („მაგდებურგის“ შემდეგ) თასების მფლობელთა თასის ფინალში რომ გადავდა. თბილისის „დინამო“ კი, როგორც ცნობილია, ამავე თასის ფინალში მოთამაშე მესამე საბჭოთა კოლექტივია მოსკოვისა და კიევის „დინამოს“ შემდეგ.

გ. გამრეკელი.

თბილისის „დინამოს“ გასემგზავრა

თბილისი „დინამოს“ ფეხბურთელები გაფრინდნენ დიუსელდორფში. როგორც ცნობილია, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალურ მატჩში 13 მაისს ადგილობრივ „რაინის“ სტადიონზე ისინი შეხვდებიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდს „კარლ ცაისს“ (იენა).

გუნდს მეთაურობენ ნ. ახალაური, ქ. ასათიანი და ს. კუტუბაძე. „დინამოს“ შემადგენლობაში 16 სპორტსმენია: ო. გაბელია, თ. კოსტავა, ნ. ხიზანიშვილი, ა. ჩივაძე, გ. თავაძე, თ. სულაქველიძე, ვ. დარასელია, ზ. სვანაძე, ვ. გუცაევი, დ. ყიფიანი, რ. შენგელია, ნ. ქაკილაშვილი, ვ. ქვანია, ქ. მეტლიძე, ა. ანდღულაძე და გ. ჭელაია.

საფეხბურთო ორგიტა

ხელგაზრთი. მოსკოვში გრძელდება ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი შეჯიბრება. ასპარეზობის მეორე დღეს თბილისის „ქართველამ“ დაამარცხა მოსკოვის „კუნცევო“—33:31 (17:15), კაუნასის „გრანიტასმა“ — კიევის ასკ — 28:25 (15:15), მინსკის არმიელთა გუნდმა — (ცსკა — 26:23 (11:10). მომდევნო ტურზე თბილისელთა მეტოქე იყო „გრანიტასი“. ეს შეხვედრაც თბილისელებმა მოიგეს — 35:32 (14:15). ამ დღეს გამართული დანარჩენი ორი მატჩის შედეგები ასეთია: კიევის ასკ-მინსკის ასკ — 22:23 (8:14), ცსკა-„კუნცევო“ — 29:16 (14:16).

ფეხბურთი. გუშინწინ მოსკოვში გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეცხრე ტურის ერთი მატჩი. მოსკოვის „დინამომ“ მიიღო „ყაირათი“. გაიმარჯვეს მოსკოველებმა ანგარიშით 2:1. დღეისათვის გათამაშების ლიდერია „კიევის „დინამო“ — 12 ქულა. თბილისისა და მოსკოვის დინამოელებს 11-11 ქულა აქვთ და შესაბამისად მეორე-მესამე ადგილებზე არიან.

ველოსპორტი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გზებზე გრძელდება მშვიდობის ველორბოლა. პროლოგის შემდეგ გამიმართა პირველი ეტაპი (ბერლინი — მაგდებურგი, 169 კმ), რომელიც მოიგო ოლაფ ლუდვიგმა (გდრ). მან ეს რასა 3 საათში, 34 წუთსა და 15 წამში გაიარა.

თბილისში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონმა ლუტ ხასლოხმა (გდრ) საქართველოს ტელევიზიის „დიდი პრიზი“ მოიპოვა. მან გაიმარჯვა სპრინტერთა რბოლაში. 1000 მეტრზე ჰიტზე უძლიერესი იყო მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი ლოტარ ფრანი (გდრ). გამოდეგნებითს გუნდურ რბოლაში ყველას აჯობა ლეიფციგელის ეკიპაჟი.

მშვილდოსნობა. ლვოვში მიმდინარე „გაზაფხულის ისრებად“ წოდებულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ქალთა შორის დაიწინაურდა მოსკოველი ოლიმპიადის ჩემპიონი, თბილისელი ქეთევან ლოსაბერიძე (1293 ქულა), ვაჟებში კი — ჩიტელი ვლადიმერ ეშევი (1317). საბჭოთა კავშირის ვაჟთა ნაკრებმა გუნდურ ასპარეზობაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა (3874 ქულა). მანამდე მსოფლიო რეკორდი ეკუთვნოდა ამერიკელ შეერთებული შტატების ნაკრებს (3868).

სამთოელთა ცვლა

იქნებ, ბევრგან ვერც იგრძნოთ დამრიგებლობის ჭეშმარიტი ძალა და მისი მასობრივობა ისე წარმოჩინებულად, როგორც ჭიათურაში — მანგანუმის ქალაქში. აქ შეგირდისა და ოსტატის ურთიერთობა ასაკად საწარმოს ფაბრკლებს და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებშიც ფიდო ბინა. ამ წარმოებაში აღზრდის შესანიშნავი ფორმა „ცვლა-ჯლასი“.

ჭიათურის თითქმის ყველა სამთო საწარმოს ჰყავს თავისი საშეფო სკოლა. სამთოელები და მოსწავლეები სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული: ვინ მეტ მადანს ამოიღებს და ვინ მეტ ხუთიანს მიიღებს... ურთიერთობის ამ ფორმამ გაამართლა. უფროსი მეგობრებისადმი მიკერძოული პიროვნის თანახმად, სკოლებში განმაკიცდა დისციპლინა, გაუმჯობესდა აკადემიური წარმატება. თავიანთი სიტყვა თქვეს სამთოელებმაც. მათ პირველებმა უპატაკეს რესპუბლიკაში მეათე ხუთშლედის დავალების შესრულება. ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტის საქმეში.

მჭიდრო მეგობრობა აკავშირებს ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთსამმართველოს მეცხრე საწარმოო უბნის ი. მოდებაძის ცვლას და სოფელ თაბაგრების რვაწლიანი სკოლის მეექვსეკლასელებს. მოსწავლეები სამთოელების ხშირი სტუმრები არიან. ხშირად ნახულობენ მათ საგანაწესოში, ცვლაში გასვლის წინ, ბვდებიან ცვლიდან დაბრუნებულებს.

ახლახან მეექვსეკლასელებს იწვევნენ პირველი ქართველი სტახანოველი, ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთსამმართველოს დირექტორი ვ. სამხარაძე, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე დ. პაპაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გვერაბგამჯანი პ. ჭიტაძე და, რა თქმა უნდა, მეცხრეკლასელები სამთოელები.

ამჯერად მაღაროელებმა ნახეს მოსწავლეები შრომის პროცესში — ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე. „მეტოქეები“ ქმაყოფილი დარჩნენ მოსწავლეთა საზრიანი პასუხით. ბავშვებმა აღუთქვეს, რომ — არათუ ყველაც კარგად ისწავლიან, არამედ იბრძოლებენ კიდეც ფრიადოსანთა რიგების გაზრდისთვის.

საუბარი გაკვეთილის დამთავრების შემდეგაც გაგრძელდა. ვ. სამხარაძემ ბავშვებს გააცნო ის დიდი ამოცანები, რომლებიც პარტიის ყრილობამ დაუსახა სამთოელებს. მოსწავლეებმა უთამბეს, რომ მათ დარგეს და გაახარეს 26 ძირი ვაშლისა და მსხლის ნერგი, თითოეულმა შეაგროვა 26 კილოგრამამაკულატურა, ჯართი, ახლა კი უნდა დაეხმარონ სამამულო ომის ინვალიდის ტ. თაბაგარის ოჯახს.

(„კომუნისტის“ საკ. კორ.).



ᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ

გამოცემლობა „მერანმა“ გამოუშვა აკაკი გაწერელიას „რჩეული ნაწერების“ მესამე ტომის („ვერსიფიკაცია“) პირველი წიგნი, რომელიც შეიცავს ავტორის ცნობილ მონოგრაფიას „ქართული კლასიკური ლექსი (VII-XVIII სს.)“. ეს ნაშრომი პირველად დაბეჭდა 1953 წელს და ამჟამად მეოთხედ გამოდის. მასში დადგენილია ქართული ლექსის სილაბურ-ტონიკურობა, განხილულია ძველ-ქართული ლექსის პროსოდიის (მახვილის), რიტმის, რითმისა და სტროფიკის საკითხები. წიგნის ბოლო თავი შეიცავს ქართული კლასიკური ლექსის ყველა საზომის სქემათა აღწერას.

წიგნის რედაქტორია რ. მიმინოშვილი, გამომცემლობის რედაქტორი — მ. ჯაფარიძე, მხატვარი — ჯ. ყავლაშვილი.

●●

ᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘ ᲛᲔᲨᲐᲮᲢᲔᲑᲘ

ტყიბული. (საკ. კორ. ვ. ციბეკიძე). ქვანახშირის შახტების პროფკავშირული ორგანიზაციები დიდ მზრუნველობას იჩენენ მეშახტეთა დასვენების ორგანიზაციისათვის. ამ მხრივ სამაგალითოა სტალინის სახელობის შახტის საშახტო კომიტეტის საქმიანობა. მისი ინიციატივით ეწყობა ექსკურსიები, ლაშქრობები და სპორტული შეჯიბრებები. პროფკავშირული საგზურებით არაერთმა მეშახტემ დაისვენა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტებზე.

პროფკავშირული საგზურებით წლეულს ასამდე მეშახტე დაისვენებს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა მიიღო ჟურნალი „ბელეტენის“ მაგაზინ“ (1981 წ. № 3), რომელშიც გამოქვეყნებულია საბჭოთა კავშირის მეგობრის, ჟურნალ „ლა დრიადის“ მთავარი რედაქტორისა და მწერლის ჟორჟ ბუიონს სტატია „კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ შესახებ. იქვე მოთავსებულია სვეტიცხოველის ფოტო.

ჟორჟ ბუიონს მოკლედ მოჰყავს რომანის შინაარსი, შემდეგ მსჯელობს მის ღირსებებზე და მკითხველებს მოუწოდებს წაიკითხონ ეს რომანი.

ჟორჟ ბუიონი წერს: „ფოსტა უცნაური რამ არის. ამაში ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, როდესაც ფოსტალიონმა ერთდროულად მომიტანა კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ და კანადელი მწერალი ჯალონ ჟეჯის „ნილოსის ქალბატონი“. ორივე რომანი შორეული წარსულს აცოცხლებს, ორივე რომანი ხუროთმოძღვრისა და დიდგვაროვანი ქალწულის ტრაგიკული სიყვარულის ამბავს მოგვითხრობს სასაზლოს კარის ინტრიგების ფონზე. დეირ-ელ-ბაჰარის აღმშენებელი და სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვარი, ორივე უსამართლობის მსხვერპლი ხდება.

ქვეკასიაში ნამყოფ ტურისტებს ახსოვთ, რომ მცხეთა საქართველოს ძველი დედაქალაქია. მტკვრისა და არაგვის შეერთებაზე ამართული სვეტიცხოვლელი ქართული ხელოვნების სიმბოლოა და ამავე დროს ამ ქრისტიანი ხალხის ერთობისა და სულის გამოხატულებაა. გზა, რომელსაც სვეტიცხოვლისაკენ მივყავართ, ულამაზესია. ამ ქრონიკის ფურცლებზე ნათელი ხდება, თუ როგორ იქცა ეკი დიდოსტატად და როგორ დაიმკვიდრა მან უკვდავება სიკვდილის შემდეგ. სამყაროო რომანი ჩვენ წინ მითად გადაქცეულა.

კ. გამსახურდია რომანში აგვიწერს მაშინდელი ეპოქის სურათებს, ფსიქოლოგიურ მოვლენებს და ამასთან გაცოცხლებულ ისტორიას სიამოვნებით ავსებს ბრძნული სენტენციებით, რომლებიც საფუძველს იძლევა განსჯისა და შედარებისათვის.

კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ ქართული საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი შედევრთაგანია. მწერალს დიდი მუშაობა მოუხდა იმისათვის, რომ „ქვაში ჩაკირული საიდუმლო განეცხადებინა სიტყვაში“. კ. გამსახურდია მეორე დიდოსტატია, რომელმაც საქართველოს უძღვნა თავისი შედევრი. როგორც ქვას, ასევე სიტყვასაც მეტი წონა აქვს და უფრო ძლიერია, ვიდრე ნებისმიერი მახვილი“.

ფრანგულიდან თარგმნა
რ. თურნავამ.

ᲤᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲚᲐᲛᲝ

ხელოვნების მუზეუმთა სახლში შეიკრიბენ ცნობილი მწერლის ქეთევან ჭილაშვილის მეგობრები და თანამოკალმენი, რათა მისთვის გულითადად მიელოცათ დაბადების 60 წელი.

საღამო გახსნა ჟურნალ „დროშის“ მთავარმა რედაქტორმა, საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნო და ახალგაზრდული ლიტერატურის სექციის თავმჯდომარემ, პოეტმა ხ. ბერულავამ.

— ქეთევან ჭილაშვილი გახლავთ ერთი იმათგანი, ვინც ამშვენებს ქართულ საბჭოთა საბავშვო ლიტერატურას, — თქვა მან — იგი ეშმარიტად იმსახურებს ჩვენი საზოგადოების, ჩვენი ნორჩი მოქალაქეების პატივისცემასა და სიყვარულს, როგორც პროზაიკოსი, დრამატურგი, ჩუმი და მოკრძალებული საზოგადო მოღვაწე.

მეგობრებისა და თანამოკალმეთა სახელით იგი გულითადად მიესალმა მწერალ ქალს, სამადლობელი სიტყვა უთხრა მისი ღამაზი შემოქმედებისათვის, იმ დაუცხრომელი საქმიანობისათვის, რომელიც მან გასწია მშობლიური საბავშვო მწერლობის სასაკეთოდ.

ქეთევან ჭილაშვილის შემოქმედების განხილვას მიუძღვნა თავისი მოხსენება პოეტმა ნ. კილასონიამ.

ღვაწლმოსილ მწერალს გულთბილად მიესალმნენ ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მთავარი რედაქტორი მ. ბარათაშვილი, მწერლები მ. თომაძე, დ. ვადაჭკორია, ჟურნალ „პიონერის“ მთავარი რედაქტორი ბ. შელია, გამომცემლობა „ნაკადულის“ მთავარი რედაქტორი ნ. კალანდარიშვილი, პოეტები გ. ჭიჭინაძე, ლ. სტვილია, მ. ჩხეტია-ნი, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლები ს. ფხალაძე, თ. ხელაშვილი და სხვები.

ქეთევან ჭილაშვილმა მადლობა მოახსენა შეკრებილთ და გააცნო მათ თავისი უახლოესი შემოქმედებითი გეგმები. („კომუნისტის“ კორ.)

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲜᲝᲛᲠᲝ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ

თბილისში გამოჩნდა პირველი მსუბუქი ავტომანქანები, რომელთაც ახალი სანომრო ნიშნები აქვთ. თეთრ ფონზე მკაფიოდ ჩანს ერთ რიგში განლაგებული შავი ციფრები და ასოები.

საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს რესპუბლიკური სარეგისტრაციო-საგამოცდო განყოფილების უფროსს გ. ოდიშარიას ორიოდე სიტყვა ეთქვა ამ სიახლის შესახებ.

—ახალ სანომრო ნიშნებს, — თქვა გ. ოდიშარიამ, — შემოიღებენ ყველა რესპუბლიკაში. ისინი გააადვილებენ სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაობას. თეთრ ფონზე ციფრები ღამითაც მკაფიოდ მოჩანს.

საქართველოს სს რესპუბლიკისათვის გამოყოფილია ექვსი სერია, რომელთაგან ბევრ მანქანაზე, რომლებიც თბილისის, ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ემსახურებიან, წარწერილია **გაა.** ივნისამდე ყველა ეს მსუბუქი ავტომანქანა უზრუნველყოფილი იქნება ახალი ნიშნებით. მათ შემდეგ ნიშნები გაიცემა მოქალაქეთა კ